ხელშეკრულება №82
შესყიდვის შესახებ

ქ. გორი

27 მარტი 2015 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITY HALL Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze " (შემდგომში – „შემსყიდველი"), მისი დირექტორის გიორგი ტუღუშის სახით და მეორეს მხრივ შპს „ლეგი» მისი წარმომადგენელი დირექტორის გივი სრესელის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"),ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITY HALL Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze"ს **ბიუჯეტის სახსრებით** კარების (CPV44200000)შესყიდვა.წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1შესყიდვის ობიექტია: კარების **შესყიდვა.**

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1.შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.
3.2.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა 150 (ასორმოცდაათი)ლარი.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, მოახდინოს დროული მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2015 წლის 6 აპრილის ჩათვლით.
5.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. გორი ცხინვალის ცზ.6.
5.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
7.3.ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. და 6.1. მუხლებში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.
7.4. ანაზღაურების ადგილია ქალაქი გორი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1.შემსყიდველს უფლება აქვს:
–შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
8.2.შემსყიდველი ვალდებულია:
–მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
–უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
–მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
–მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
–დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2015 წლის 10 მაისის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები

შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

12. ფორს-მაჟორი

12.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2.თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3.მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას და საქონლის მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITY HALL Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze"-ს სტადიონების მმართველი თენგიზ ბურჯანაძე.

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4 გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს,საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1.მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2.არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3.მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5.წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

ა(ა)იპ „ქალაქგორის მუნიციპალიტეტის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა
GEORGIA GoriCITI HAII Municipality NLP Football Club DILA under Tengiz – Burjanadze"
მისამართი: გორი, გურამიშვილის ქ. № 5
საბანკო რეკვიზიტები: ბანკი-სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი TRESGE22 ს/კ 417874973

დირექტორი გ.ტუღუში

„მიმწოდებელი"

შპს „ლეგი"
მისამართი გორი ცხინვალის გზ.6.
საბანკო რეკვიზიტები ვითიბი ბანკი
გორის ფილიალი ბ/კ UGEBGE22
ანგ.GE95VT020000000463608
ს/კ 218037880

დირექტორი გ.სრესელი